საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თურმანიძის მალამო

თურმანიძის მალამო, ტრადიციული რეცეპტით დამზადებული მალამო, რომლითაც თურმანიძეები მკურნალობენ ინფიცირებულ ჭრილობებს, კანის ზოგიერთ დაავადებას, დამწვრობას და სხვ. 1998 ქ. თურმანიძე-აბზიანიძის თაოსნობით დაფუძნდა მალამოს მწარმოებელი კომპანია „თურმანიძე". ქარხნულად დამზადებული თ. მ. ხუთი სახისაა და გამოიყენება დამწვრობის (თერმული, ქიმიური, რადიაციული, მზის) სამკურნალოდ; ახასიათებს ანტიანთებითი, ანალგეზიური და ანტისეპტიკური თვისებები; იყენებენ ქირურგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, პედიატრიაში, პროქტოლოგიაში და სხვ.